საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 106
05/05/2023

106-2-4-202305051151

მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) პროექტთა (კონკურსი #2/3) დაფინანსების თაობაზე

,,ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურო დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა და საექსპერტო კომისიის 2023 წლის 3 მაისის #1 დასკვნის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) შექმნის მიზნით დაფინანსდეს მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების კონკურსში (კონკურსი #2/3) მონაწილე შემდეგი პროექტები:

ა)„ის ბიჭები“ - პროდიუსერი: შპს ,,პროდაქშენი 13“ -1000 000 (ერთი მილიონი) ლარით;

ბ) „სოხუმი“ - პროდიუსერი: შპს ,,შვიდკაცა +“ - 994 566 (ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ხუთას სამოცდაექვსი) ლარით;

გ) „საშობაო კაკლუჭები“ - პროდიუსერი: შპს ,,სტუდია +1“ - 987 832.8 (ცხრაას ოთხმოცდაშვიდი ათას რვაას ოცდათორმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარით;

2. ბრძანების პირველ პუქტში განსაზღვრული პროდიუსერებისთვის თანხის გამოყოფა წარმოებაში ჩაშვების მიზნით, განხორციელდეს პროდიუსერების მიერ ,,ეროვნული ფილმის დებულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6)

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი